MES 7 22 0000544537

25/05/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 10.05.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 19:10სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი (I, II, III,)
სხდომის თავმჯდომარე: ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანი (IV, V, VI)
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ერეკლე ასტახიშვილი** - შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის" პროფესორი, სსიპ-შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
4. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
5. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
6. **ლევან მოსახლიშვილი** - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;

7. **თეა მჭედლური** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;
9. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
10. **დავით ტეფნაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
11. **ეკატერინე შაკიაშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
12. **გურანდა ჭელიძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი.
13. **დავით ჩოჩიშვილი** - სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
14. **ანზორ ბერიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
15. **ირინა გველესიანი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
16. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**ლალი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	**ნინო ალავიძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
3	**ნინო სარჯველაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
4	**სოფიკო ქურასბედიანი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
5	**ანი ბილანიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
6	**ანა ჯუღელი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
7	**ანა ჯავახიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

8	**ანა ქოიავა**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

n	**სახელი, გვარი**	**საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება**	**სტატუსი**	**საკითხი**
1.	რამაზ კუკულაძე	შპს ალტე უნივერსიტეტი	პრეზიდენტი	I
2.	ნანა მიქაშავიძე		ბიზნესის სკოლის დეკანი	I
3.	ქეთევან ბოკუჩავა		პროგრამის ხელმძღვანელი	I
4.	ირმა ნოზაძე		ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენდის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი	I
5	ნანა დიხამინჯია		ციფრული ტრანსფორმაციის ცენტრის დირექტორი	I
6	ირაკლი ფორჩხიძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	სამართლის სკოლის დეკანი	II
7	კონსტანტინე ჩოკორაია		სამართლის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
8	ზაზა მეიშვილი		პროფესორი, სამართლის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი,	II
9	ნინო ჟვანია		ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
10	კოტე კუბლაშვილი			II
11	მაია ჭიჭილეიშვილი	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	რექტორი, პროფესორი	III
12	ქეთევან ვაჩეიშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი	III
13	გიორგი რამიშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი,	III

			ასოცირებული პროფესორი	
14	საფფეთ ბაირაქთუთანი	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	რექტორი	IV
15	ნინო ჯოჯუა		ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით	IV
16	თეა კბილცეცხლაშვილი		კბილცეცხლაშვილი, ვიცე-რექტორი სასწავლო და სამეცნიერო დარგში	IV
17	ილია ბოცვაძე		ბოცვაძე, ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეის დეკანი	IV
18	ირაკლი როდონაია		კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	IV
19	ნიკოლოზ აბზიანიძე		კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	IV
20	გიორგი დონაძე	შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (სეუ)	კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	V
21	მიხეილ სინიცა		კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მოწვეული სპეციალისტი	V
22	ქეთევან მაყაშვილი		კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მოწვეული სპეციალისტი	V
23	ანა ფირცხალაშვილი		ვიცე-რექტორი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით	V
24	მამუკა ბენაშვილი		კლინიკური ფსიქოლოგიის	

			სამაგისტრო პროგრამის მოწვეული სპეციალისტი	
25	ნონა ზუმბაძე		ხარისხის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი	V

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობისშესახებ	საკითხი
1	დავით სიხარულიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ეკა დევიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ნინო პატარაია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	მარიამ გორგოძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	გიორგი მახარობლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	გიორგი წანაწყენიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
7	მანანა ხაჩიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
8	მანანა ხეჩუაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს ალტე უნივერსიტეტის "ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ,,კლინიკური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

5. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· კი

ცენტრის შუამდგომლობით შეიცვალა საკითხების განხილვის თანმიმდევრობა და ასევე, დაემატა მე-6 საკითხი ტექნიკური ხარვეზს გასწორების შესახებ.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს ალტე უნივერსიტეტის ,,ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ,,კლინიკური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. ,,შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 27 აპრილის №416095 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;

1. პირველისაკითხი : შპს ალტე უნივერსიტეტის "ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, 11.11.2011, გადაწყვეტილება №289
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-

6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	აკრედიტებული, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 8 ნოემბრის №643 გადაწყვეტილება
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1015
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხი სზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო შეფასება განხორციელდა დისტანციურად Zoom-ის პლატფორმის საშუალებით, 2022 წლის 11 მარტს. შეფასებამდე, ჯგუფის თავმჯდომარემ გადაანაწილა წევრებზე კონკრეტული დავალებები და დაორგანიზა დისტანციური წინასააკრედიტაციო შეხვედრა. ჯგუფის წევრებმა გაცვალეს ინფორმაცია, შეაჯერეს კონკრეტული ბუნდოვანი საკითხები, კითხვები და ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ. დააზუსტეს საკითხთა წრე, რომელიც

იწვევდა განსაკუთრებულ ინტერესს. დისტანციური შეფასება დაიწყო შეხვედრის განრიგით გათვალისწინებულ დროს, ექსპერტთა სრული შემადგენლობით. ჩატარდა გრაფიკით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა. ექსპერტებს ჰქონდათ სრული შესაძლებლობა გაცნობოდნენ ყველა დოკუმენტს, რომლითაც დასტურდებოდა თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაცია. ვიზიტის განმავლობაში უსდ-მ ექსპერტებს წარუდგინა დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები ექსპერტების მოთხოვნის საფუძველზე. ვიზიტი წარიმართა საქმიან გარემოში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მაქსიმალურად უზრუნველყო პირობები იმისთვის, რომ დისტანციური რეჟიმის მიუხედავად, ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.
შპს ალტე უნივერსიტეტის "ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია დაიხვეწოს ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის მიზანი და მეტად მოვიდეს შესაბამისობაში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და გათვალისწინებულ იქნეს სწავლების საფეხური.
2. რეკომენდირებულია პროგრამის სახელწოდების დახვეწა ისე, რომ განსხვავდებოდეს სხვა სწავლის სფეროსა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელებისაგან.
3. რეკომენდირებულია ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამისათვის სწავლის შედეგების მექანიზმის დახვეწა და გაუმჯობესება;
4. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის მიზნის შესაბამისობაში მოყვანა სწავლის შედეგებთან;
5. რეკომენდებულია გადაისინჯოს/ჩასწორდეს სპეციალობის ძირითად სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები (ტურიზმის პოლიტიკა, ტურიზმის სტატისტიკა, ტურისტული პროდუქტები და ტრენდები, ღონისძიებების დაგეგმვა და პროექტების მართვა ტურიზმში)
6. რეკომენდებულია ძირითადი სფეროს სასწავლო კურსების მოდულს დაემატოს ტურიზმის მიმართულების საგნები, ასევე სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების მოდულიდან ,,ტუროპერეიტინგი, გეო-ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში, აგროტურიზმი" წარმოდგენილი იყოს, როგორც სავალდებულო და არა არჩევითი კომპონენტი რათა პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი მეტად იყოს შესაბამისობაში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და გათვალისწინებულ იქნეს ტურიზმის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტის მოთხოვნები.
7. რეკომენდირებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსების ძირითადი/სავალდებულო ლიტერატურის ველში მიეთითოს დარგის თანამედროვე სახელმძღვანელოები;

8. რეკომენდირებულია 4 კრედიტიანი სასწავლო კურსის: ,,ღონისძიებების დაგეგმვა და პროექტების მართვა" წარმოდგენილ იქნას ცალკეულ საგნებად - ღონისძიებების მენეჯმენტი და პროექტის მენეჯმენტი სწავლის შედეგის უფრო უკეთ ფორმულირებისთვის.
9. რეკომენდირებულია საბაკალავრო ნაშრომის მიზნის ,,ტურიზმის სფეროში ბაკალავრიატის სტუდენტმა შეძლოს კვლევის ეთიკის პრინციპების დაცვით, კვლევითი მუშაობის განხორციელება და მისი შედეგების წერილობითი წარმოდგენა და დაცვა" მიღწევის უზრუნველსაყოფად, დაიხვეწოს საბაკალვრო ნაშრომის სლბუსი.
10. რეკომენდირებულია გაიზარდოს სტუდენტთა ჩართულობა ადგილობრივ/საერთაშორისო კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში;
11. რეკომენდირებულია გაძლიერდეს ინტერნაციონალიზაცია და გაცვლითი პროგრამები;
12. რეკომენდებულია „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლბლო პროგრამის ხელმძღვანელად მოიაზრებოდეს პირი, რომელსაც ექნება როგორც დარგის შესაბამისი აკადემიური გამოცდილება, ისე პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისთვის საჭირო უნარჩვევები.
13. რეკომენდირებულია უნივერსიტეტის მხრიდან უფრო დიდი ყურადღება დაეთმოს აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების და აკადემიური საქმიანობის შეფასების პროცედურებს. აღნიშნული დაიწეროს ერთიან დოკუმენტად, სადაც განისაზღვრება პერსონალის პროფესიული განვითარებისა და აკადემიური საქმიანობის შეფასების პროცედურები და კრიტერიუმები;
14. რეკომენდებულია, სტუდენტთა მიერ სასწავლო პროცესის შეფასებისას, მოხდეს პროფესორ- მასწავლებლებისა და სასწავლო კურსის ცალ-ცალკე შეფასება.
15. რეკომენდირებულია საბაკლავრო ნაშრომების შესრულებაზე მონიტორინგის გაძლიერება მინიმალური სტანდარტების შესრულების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარე, გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ საბაკალავრო ნაშრომის საკითხი რეკომენდაციებში ორჯერ არის მოხსენიებული, შესაბამისად, დააზუსტა, თუ რამ განაპირობა საბაკალავრო ნაშრომთან მიმართებით რეკომენდაციების განსაზღვრა.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე დააზუსტა, თუ რა არის აკადემიური პერსონალისთვის მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნა.

საბჭოს წევრმა, ირინა გველესიანმა, აღნიშნა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაციის საპასუხოდ, ეწერა, რომ იგეგმება რიგი აქტივობები, რაც ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. გამომდინარე აქედან, საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს ესაუბრათ, თუ კონკრეტულად რომელი აქტივობები იგულისმებოდა მოცემულ ჩანაწერში.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ დააზუსტა თუ რამდენად შესაბამისი და რეალურია საბაკალავრო დონეზე კვლევითი პროექტების განხორციელება. ამასთან, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რამდენად მდგრადია პროგრამა აკადემიური პერსონალის მიმართებით და მოახერხებს თუ არა დაწესებულებაში არსებული პერსონალი რეკომენდაციის შესაბამისად ცვლილებების განხორციელებას.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე შაკიაშვილმა აღნიშნა, რომ 2020 და 2021 წელს ფრიადი, ძალიან კარგი და კარგი არც ერთ სტუდენტს არ აქვს მიღებული, შესაბამისად, დააზუსტა არის თუ არა გამოკვლეული არსებული დაბალი შეფასების მიზეზები.

საბჭოს წევრმა, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა, აღნიშნა მიკრო- და მაკროეკონომიკის სასწავლო კურსები, სადაც მიკროეკონომიკის წინაპირობად განსაზღვრულია მაკროეკონომიკა, შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა, თუ რამ განაპირობა აღნიშნული წყობა და რამდენად მართებულია. ამასთან, აღსანიშნავია ,,ოპერაციათა მმართვის საფუძვლების" სასწავლო კურსი, რომელიც ასევე სავალებულო საგანს წარმოადგენს, თუმცა რამდენად მართებულია, რომ

მოცემული სასწავლო კურსისთვის არ არის განსაზღვრული დაშვების წინაპირობა და პრერეკვიზიტი იყოს მხოლოდ ინგლისური ენა, იდენტურია მდგომარეობა ,,სტრატეგიული მენეჯმენტის“ სასწავლო კურსთან მიმართებით. საბჭოს წევრმა, ასევე მოუწოდა ექსპერტებს განემარტათ რეკომენდაციები მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, ,,ადამიანური კაპიტალის განვითარებისა“ და ,,ლიდერული და ორგანიზაციული ქცევის“ სასწავლო კურსების და დააზუსტა თუ რამდენად არის აღნიშნული სასწავლო კურსები შესაბამისობაში თავად მათ სახელწოდებასთან. გარდა ამისა, რამდენად არის შესაძლებელი აღნიშნული საკითხების მოცემული დროის ჩარჩოში სიღრმისეულად გავლა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართ აექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ,,საბაკალვრო ნაშრომი“. საბაკალავრო ნაშრომის წარმატებულად მომზადების მიზნით მნიშვნელოვანი, რომ პროგრამის სტრუქტურას დაემატოს შემდეგი სასწავლო კურსები: კვლევი მეთოდები და აკადემიური წერა. ამასთან, საბაკალავრო ნაშრომების შემოწმებისას გამოიკვეთა შემდეგი გარემოება, კერძოდ, საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსის მიხედვით საბაკალავრო ნაშრომის მიზანია კვლევის უნარების განვითარება. საბაკალავრო ნაშრომების შემოწმების შედეგად ვლინდება, რომ აღნიშნული სილაბუსი ნაკლებად ემსახურება საბაკალავრო ნაშრომის მიზნის მიღწევას. გამომდინარე აქედან ვფიქრობთ, რომ უნდა დაიხვეწოს საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი, სადაც მკაფიოდ იქნება გამოკვეთილი კვლევის განხორციელების პროცესის კომპონენტები ბაკალავრიატის დონეზე.
ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებულობას ადგილობრივი თუ საერთაშორისო კონფერენციების, პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ. სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი ნაკლებად არიან ჩართულნი ზემოაღნიშნულ ღონისძიებებში. დაბალია სტუდენტთა ჩართულობა კვლევით პროექტებშიც. „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამაზე ხორციელდება კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშემწყობი ღონისძიებები. სტუდენტები დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციას ძირითადად იღებენ ,,სასწავლო პროცესის მართვის სისტემის“ (emis), ელ.ფოსტისა და სოციალური ქსელების დახმარებით. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით დაწესებულებას დამსაქმებლებთან გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. მიუხედავად ამისა, როგორც სტუდენტებთან, ისე კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დასაქმების მაჩვენებელი ზოგადად დაბალია, განსაკუთრებით დაბალია პროფესიით დასაქმებულ სტუდენტა/კურსდამთავრებულთა მაჩვენებელი.
რაც შეეხება პირველ რეკომენდაციას, პროგრამის მიზანში მკაფიოდ არის წარმოჩენილი სამეწარმეო უნარის განვითარება ტურიზმისა და მოგზაურობის მიმართულებით, თუმცა მისანიჭებელი კვალიფიკაციით თუ ვიმსჯელებთ ძირითადი აქცენტი უნდა კეთდებოდეს ტურისტულ მიმართულებებზე, ღონისძიებებზე, რეკრეაციულ და დასვენების აქტივობებზე. გარდა ამისა, რამდენად შესაძლებელია პირველი საფეხურის სტუდენტმა შეძლოს საკუთარი ან სხვისი ბიზნესის განვითარება დამოუკიდებლად ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე და ხელი შეუწყოს მდგრადი და ძლიერი ინდუსტრიის განვითარებას. ამ მსჯელობიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მიზანი არ არის სრულყოფილად ჩამოყალიბებული. მიზნის ფორმულირებისას გათვალისწინებული უნდა იყოს მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან მიმართებით დარგის ისეთი მიმართულებები, როგორიცაა ტურისტული ღონისძიებები, რეკრეაცია დასვენება და ასევე გათავლისწინებულ უნდა იქნას ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტების შესაძლებლობები. გარდა ამისა, პროგრამის დასახელება არის ტურიზმისა და

მასპინძლობის მენეჯმენტი, რომელიც სწავლის სფეროს კლასიფიკატორში გვხდება შემდეგი კოდით 1015. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამის სახელწოდება სულ სხვა სფეროს მიეკუთვნება, ლოგიკური კავშირი პროგრამის დასახელებას, პროგრამის მიზნებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას და პროგრამის შინაარს შორის არის სუსტი და საჭიროებს დახვეწას და გაუმჯობესებას, კერძოდ პროგრამის დასახელება უნდა შეიცვალოს იმისათვის რათა არ იყოს კავშირში სწავლის სფეროს კლასიფიკატორის რომელიმე სფეროსთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და ისაუბრა ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით, კერძოდ აღნიშნა, რომ მუხედავად კოვიდ პანდემიისა, შარშან დაწესებულებამ ჩაატარა პირველი სტუდენტური შიდასაუნივერსიტეტო კონფერენცია, სადაც დასწრების შესაძლებლობა ჰქონდათ ოთხივე სკოლის სტუდენტებს. წელსაც, ივნისის დასაწყისში იგეგმება შემდეგი საუნივერსიტეტო კონფერენცია, რომელიც იქნება არა მხოლოდ ალტე უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, არამედ იქნება გახსნილი სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებისთვისაც. თავად ინტერნაციონალიზაცია არის საკითხი რომელიც ატარებს მუდმივს ხასიათს. ამ კუთხით მნიშვნელოვანია, რომ ამა წლის 13-17 აპრილს უნივერსიტეის 8 სტუდენტი გაემგზავრა ჩეხეთში, მათ შორის ერთი სტუდენტი ტურიზმის მიმართულებიდან. გარდა ამისა, ივნისში სამის სტუდენტი გაემგზავრება ლონდონში. გარდა ამისა, მიმდინარეობს ერასმუსის პროექტის ფარგლებში რომის უნივერსიტეტთან გაცვლითი პროგრამების შესახებ მოლაპარაკება.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ხელმძღვანელთან დაკავშირებით არსებული რეკომენდაციის საპასუხოდ, დაწესებულებამ დაამატა ასევე თანახელმძღავნელი, რაც უზრუნველობს არსებული პროგრამის გაძლიერებას. მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებას აქვს საკმაოდ კარგი ბალანსი აკადემიურ და პრაქტიკოს პირებს შორის, უბრალოდ გამომდინარე იქიდან, რომ უნივერსიტეტის სტრატეგია არის პრაქტიკაზე ორიენტირებული. მნიშვნელოვანი, რომ მიზანი, რომელსაც ისახავს პროგრამა არის ზოგადი და მოქნილი. ამ ფართო დარგობრივ ხედვაში მოიაზრება როგორც ტურისტული ღონისძიებები და დასვენების აქტივობები, ისევე კვების და განთავსების ობიექტების მართვა, დამსაქმებელთან გასაუბრებები, კვლევა, რაზეც საერთაშორისო პრაქტიკაც მეტყველებს. სამეწარმეო უნარების დეფიციტი ტურიზმში უფრო მეტად სწორედ რეკრეაციულ და დასვენებების აქტივობებზე და ღონისძიებებშია, რაც დარგის პრაქტიკოსებთან საუბრისას გამოიკვეთა. ინოვაციებისა და ტექნოლოგიების გარეშე ტურიზმის მდგრადი განვითარება ფაქტიურად წარმოუდგენელია, რასაც მსოფლიო ტურიზმის ასოციაცია და გაერო მუდმივად მხარს უჭერს. სწორედ ამ მოსაზრებებზე დაყრდნობით, ჩამოყალიბდა პროგრამის მიზანი და შეთანხმდა პროგრამის პარტნიორ დამსაქმებლებთან.

რაც შეეხება მიკრო- და მაკროეკონომიკას, მოცემულ შემთხვევაში გაზიარებული იქნა საერთაშორისო პრაქტიკა, იმ მიზნით რომ ყოფილიყო თავდაპირველად უფრო დიდი სურათის განხილვა და შემდგე უკვე მთავარ ფოკუსზე აქცენტირება.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ სწავლის სფეროების კლასიფიკატორის, მე-6 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, წარმოდგენილი პროგრამის ძირითად შინაარსს განსაზღვრავს დეტალური სფერო. რაც შეეხება მის სახელწოდებას, ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ის განსხვავდება სწავლის სფეროსა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელებისაგან, თუმცა არ მოდის წინააღმდეგობაში პროგრამის მიზნებთან. პროგრამის სახელწოდება გამოხატავს იმ შინაარსს, რომელიც შესაბამისობაშა პროგრამის მიზნებთან, შედეგებთან და კვალიფიკაციასთან. შესაბამისად, არსებული სახელწოდების შერჩევით, დაწესებულებას სურს, მხოლოდ ხაზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ მასპინძლობის მიმართულებაზე მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება. საერთაშრისო საუკეთესო პრაქტიკებშიც სტანდარტულად გვხვდება მასპინძლობის მენეჯმენტი ისევე, როგორც ტურიზმის მენეჯმენტი,

ცალ-ცალკე ან ერთად საბაკალავრო საფეხურზე. აღნიშნული ინფორმაცია დაწესებულებას ასევე წარმოდგენილი ჰქონდა თვითშეფასებაში. პროგრამის მიზანში აქცენტი კეთდება ტურიზმში სამეწარმეო საქმიანობის და ბიზნესის დამოუკიდებლად წარმართვაზე. თუმცა, სწავლის შედეგებში სამეწარმეო უნარების და ბიზნესის წარმართვის ტექნოლოგიებზე არაფერია ნათქვამი.

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ აღნიშნა ,,ქართულის კულტურის ისტორიისა“ და ,,ეთნოლოგია და ეთნოგრაფიის“ სასწავლო კურსები და განმარტა, რომ პირველი სილაბუსის შემთხვევაში, სწავლის შედეგებში, პირდაპირ არის მოცემული, რომ სტუდენტმა იცის ქართული კულტურის განვითარების ძირითადი ეტაპები, თუმცა ამ შედეგზე ვერანაირად ვერ გავა სასწავლო კურსი იმ სტრუქტურისა და თემატიკის განაწილების მიხედვით, რომელიც სილაბუსშია მოცემული, მითუმეტეს საგანი ისწავლება სახელმძღვანელოებით, რომლებიც გამოიცა 1999-2002 წლებში. რაც შეეხება ეთნოლოგიას, აღნიშნულ სილაბუსშიც გამოიყენება საკმაოდ ძველი სახელმძღვანელო. სასწავლო ლიტერატურა ამ კუთხით აუცილებლად საჭიროებს განახლებას.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ თუ პროგრამა ძირითადად ორიენტირებულია მენეჯმენტზე, რატომ არის მისანიჭებელი კვალიფიკაცია ტურიზმი და მასპინძლობა და არა ტურიზმის მენეჯმენტი, მითუმეტეს 1015 ცოტა სხვა საკითხებს მოიცავს, რაც პროგრამაში არ არის გათვალისწინებული.

რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, ამ კუთხით დაწესებულებაშიი მუშაობა უკვე დაწყებულია. შესაბამის დოკუმენტში ხორციელდება ცვლილებები მისი დახვეწის მიზნით, მუშავდება სწავლის შედეგების შეფასების მეთოდური სახელმძღვანელოც. შესაბამისად, შეიცვლება პროგრამის სწავლის შედეგების რუკა და სწავლის შეფასების შედეგების გეგმაც, სადაც დაემატება შეფასების კონკრეტული მეთოდები და კრიტერიუმები, ასევე შეფასებაში ჩართული სუბიექტები და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამა სრულად ფარავს დარგობრივ მახასიათებლებსა და კლასიფიკატორით განსაზღვრულ მოთხოვნებს. პროგრამის სახელწოდება გამოხატავს იმ შინაარსს, რომელიც შესაბამისობაშა პროგრამის მიზნებთან, შედეგებთან და კვალიფიკაციასთან.შესაბამისად, არსებული სახელწოდების შერჩევით, დაწესებულებას სურს, მხოლოდ ხაზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ მასპინძლობის მიმართულებაზე მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება. რაც შეეხება ლიდერობასა და ადამიანური რესურსების სასწავლო კურსებს, მოცემულ საგნებში სრულიად არის მოცემული ყველა საჭირო თემატიკა და აქტივობა.კურსები არის საბაზისო.

აკადემიური პერსობალის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰყვას იმ რაოდენობის აკადემიური პერსონალი, რომ ამ კუთხით უზრუნველყოფილი იყოს მდგრადობა. უნივერსიტეტი აკადემიუირ პერსონალის არჩევის დროს ძირითადად უყურებს პრაქტიკულ გამოცდილებას. შეიძლება ლექტორს ჰქონდეს მხოლოდ ბაკალავრის დიპლომი, თუმცა ამავდროულად მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოცდილება.

რაც შეეხება საბაკალავრო ნაშრომებს, მოქმედ პროგრამაში, საბაკალავრო ნაშრომების დაბალი ხარისხი განპირობებული იყო იმით, რომ სუსტად ხორციელდებოდა საბაკალავრო ნაშრომის შეფასების მექანიზმი. წარმოდგენილი პროგრამა სრულად განახლებულია და საშუალებას იძლევა, უკეთესად მოემზადოს სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომისთვის. უნივერსიტეტში გამკაცრებულია ანტიპლაგიატი პოლიტიკა და ტარდება ანტიპლაგიაის ღონისძიებები. ასევე მოდიფიცირებულია საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი. თუმცა მნიშვნელოვანი იქნება არა სილაბუსის ცვლილება, არამედ სილაბუსის მიხედვით ხარისხის მოთხოვნა და დაცვა. ამ მიზნით, დაწესებულება დააწესებე სქმედით კონტროლსმოთხოვნების შესრულებაზე შესაბამისი მექანიზმების გამოყენები. ამასთან, ,,ზეპირი და წერითი კომუნიკაციები“ ექსპერტთა რეკომენდაციის შესაბამისად, ჩანაცვლდება ..აკადემიური წერით“ და ,,კვლევითი მეთოდებით“ რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საბაკალავრო ნაშრომის მიზნის მიღწევას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:15
დასრულების დრო: 15:50

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ალტე უნივერსიტეტის "ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

აკრედიტაციის სტანდარტის კომპონენტი 1.1 ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ასევე, მესამე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ვინაიდან, სტანდარტის ორივე რეკომენდაცია გადადის რჩევის კატეგორიაში. 4.2-ში დაემატოს რეკომენდაცია პერსონალის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით. სტანდარტის კომპონენტი 4.2 გადადის მეტწილ შესაბამისობაში და მთლიანი სტანდარტიც მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაში.“ რეკომენდაციის (რეკომენდირებულია, შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმების სრულყოფილად ამოქმედება, პროგრამის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად) გაცემის გათვალისწინებით 5.1 ქვესტანდარტი გადავიდეს მეტწილ შესაბამისობაში, ხოლო 5.3-ში გაცემული მე-7 რჩევა განისაზღვროს რეკომენდაციად. შესაბამისად მე-5 სტანდარტი შეფასდეს, როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაში.“

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული შეფასება, რეკომენდა ციები და რჩევები
ჩამოაყალიბდა შემდეგნაირად:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის მიზანი სრულყოფილად მოვიდეს შესაბამისობაში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და გათვალისწინებულ იქნეს სწავლების საფეხური;
2. რეკომენდირებულია პროგრამის სახელწოდების ფორმულირება იმგვარად, რომ განსხვავდებოდეს სხვა სწავლის სფეროსა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელებისაგან;
3. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის მიზნის შესაბამისობაში მოყვანა სწავლის შედეგებთან;
4. რეკომენდირებულია ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამისათვის სწავლის შედეგების მექანიზმის დახვეწა და გაუმჯობესება;
5. რეკომენდებულია გადაისინჯოს/ჩასწორდეს სპეციალობის ძირითად სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები (ტურიზმის პოლიტიკა, ტურიზმის სტატისტიკა, ტურისტული პროდუქტები და ტრენდები, ღონისძიებების დაგეგმვა და პროექტების მართვა ტურიზმში) ;
6. რეკომენდებულია ძირითადი სფეროს სასწავლო კურსების მოდულს დაემატოს ტურიზმის მიმართულების საგნები, ასევე სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების მოდულიდან ,,ტუროპერეიტინგი, გეო-ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში, აგროტურიზმი” წარმოდგენილი იყოს, როგორც სავალდებულო და არა არჩევითი კომპონენტი რათა პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი მეტად იყოს შესაბამისობაში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და გათვალისწინებულ იქნეს ტურიზმის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტის მოთხოვნები;

7. რეკომენდირებულია, საბაკალავრო ნაშრომის სტანდარტების მიხედვით შესრულების მიზნით, ძირითადი სფეროს სასწავლო კურსების მოდულს დაემატოს აკადემიური წერის და კვლევის მეთოდების სასწავლო კურსები;
8. რეკომენდებულია სასწავლო კურსები/საგნები: ,,ღონისძიებების დაგეგმვა და პროექტების მართვა ტურიზმში, ტურიზმის სტატისტიკა, კლიენტების მომსახურება და კრიზისის მართვა ტურიზმში, საქართველოს ტურისტულ რეკრეაციული რესურსები, პრაქტიკა" ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმში წარმოდგენილი იყოს იერარქიული საფეხურების - მარტივიდან რთულისკენ პრინციპისა (სემესტრულად) და შესაბამისი წინაპირობების დაცვით;
9. რეკომენდირებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსების ძირითადი/სავალდებულო ლიტერატურის ველში მიეთითოს დარგის თანამედროვე სახელმძღვანელოები;
10. რეკომენდირებულია 4 კრედიტიანი სასწავლო კურსის: ,,ღონისძიებების დაგეგმვა და პროექტების მართვა" წარმოდგენილ იქნას ცალკეულ საგნებად - ღონისძიებების მენეჯმენტი და პროექტის მენეჯმენტი სწავლის შედეგის უფრო უკეთ ფორმულირებისთვის.
11. რეკომენდირებულია საბაკალავრო ნაშრომის მიზნის ,,ტურიზმის სფეროში ბაკალავრიატის სტუდენტმა შეძლოს კვლევის ეთიკის პრინციპების დაცვით, კვლევითი მუშაობის განხორციელება და მისი შედეგების წერილობითი წარმოდგენა და დაცვა" მიღწევის უზრუნველსაყოფად, დაიხვეწოს საბაკალვრო ნაშრომის სლბუსი.
12. რეკომენდებულია „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად მოიაზრებოდეს პირი, რომელსაც ექნება როგორც დარგის შესაბამისი აკადემიური გამოცდილება, ისე პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები;
13. რეკომენდირებულია, შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმების სრულყოფილად ამოქმედება, პროგრამის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად;
14. რეკომენდირებულია უნივერსიტეტის მხრიდან უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს აკადემიური/მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის, პროფესიული განვითარების და აკადემიური საქმიანობის შეფასების პროცედურებს. აღნიშნული დაიწეროს ერთიან დოკუმენტად, სადაც განისაზღვრება პერსონალის პროფესიული განვითარებისა და აკადემიური საქმიანობის შეფასების პროცედურები და კრიტერიუმები;
15. რეკომენდებულია, სტუდენტთა მიერ სასწავლო პროცესის შეფასებისას, მოხდეს პროფესორ- მასწავლებლებისა და სასწავლო კურსის ცალ-ცალკე შეფასება;
16. რეკომენდირებულია საბაკალავრო ნაშრომების შესრულებაზე მონიტორინგის გაძლიერება მინიმალური სტანდარტების შესრულების მიზნით;
17. სასურველია პერიოდულად განხორციელებული პროგრამის დადარება ადგილობრივი და უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და წარმოდგენილი იყოს დამოუკიდებელი, ანალიზზე დაყრდნობით შედგენილი ანგარიშის სახით;

რჩევები:

1. სასურველია დაინტერესებული მხარეებისთვის დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით ინფორმაციის სრულყოფილად მიწოდების მიზნით, სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში და ვებ - გვერდზე კანონით განსაზღვრულ დაშვების წინაპირობებთან ერთად დამატებით აისახოს ინფორმაცია სავალდებულო საგნების/ენების შესახებ;
2. სასურველია, ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის მოცულობის განსაზღვრა;
3. სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტთა ინფორმირებულობა შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმსა და პროცედურებზე;

4. სასურველია გაიზარდოს სტუდენტთა ჩართულობა ადგილობრივ/საერთაშორისო კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში;
5. სასურველია გაძლიერდეს ინტერნაციონალიზაცია და გაცვლითი პროგრამები;
6. სასურველია, გარე და შიდა შეფასებებით მოხდეს ნაკლოვანი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება. გამოხმაურებები უნდა იყოს უფრო დეტალური, სიღრმისეული და გვაძლევდეს ნათელ სურათს;
7. სასურველია, შრომის ბაზრის კვლევისას გამოიკვეთოს შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნა აღნიშნული კუთხით დასაქმების თაობაზე;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-31 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და 31 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის : შპს ალტე უნივერსიტეტის "ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით და 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელებით.

2. მეორე საკითხი : სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოსწევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა ლევან მოსახლიშვილმა და ირინა ლობჟანიძემ.
საფუძველი: შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული პირველი რეკომენდაცია მიმართულია პროგრამის სწავლის შედეგების უშუალოდ პროგრამის შინაარსაა და სტრუქტურაზე მორგება, რაც სამართლის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილ საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგისგან განსხვავებულ სწავლის შედეგთა ჩამოყალიბებას განაპირობებდა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშზე თანდართული სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი, კვლავ იმეორებს სამართლის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ სწავლის შედეგს, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსები სრულად იძლევა სწავლის შედეგების ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად, პროგრამის სწავლის შედეგები კუმულაციურად არის წარმოდგენილი, პროგრამის სწავლის შედეგები, ის უფრო ნაკლებ შედეგს ითვალისწინებს, ვიდრე ხსენებული დარგობრივი მახასიათებელი. მაგალითად, პროგრამის სწავლის შედეგში არ არის წარმოდგენილი სახელმწიფო მოწყობის ძირითადი პრინციპებისა და ეროვნული მოდელის თავისებურებებს, არ არის წარმოდგენილი, მაგალითად, კურსდამთავრებული აღწერს თუ არა სამეწარმეო თავისუფლების დაცვის მექანიზმებს. შესაბამისად, რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.
მე-2 რეკომენდაციის მიხედვით, გადასახედია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების როგორც მექანიზმი, ისე სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. წარმოდგენილი ანგარიშისა და სამიზნე ნიშნულების მიხედვით, შეფასების სამიზნე ნიშნული და შეფასების განხორციელების დრო განახლებულია, მაგრამ არ არის წარმოდგენილი პირდაპირი შეფასების სრული მექანიზმი, რომელიც მოიცავდა კონკრეტული, მაგალითად, ე.წ. განმამტკიცებელი სასწავლო კურსის სწავლის შედეგის მიმართებას პროგრამის სწავლის შედეგთან.
რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, რეკომენდაცია მიმართულია შრომის ბაზრის კვლევის განხორციელებსკენ. წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად, დაწესებულებას გამოყენებული აქვს სამართლებრივი ბაზრის კვლევა საქართველოში, ხოლო თავის მხრივ, ჩატარებული აქვს კერძო და საჯარო სექტორის პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვა.
მე-4 რეკომენდაცია, დაწესებულების მიერ განხილულია სასწავლო კურსის „საკონსტიტუციო მართლმსაჯულების პრაქტიკუმი“ კონტესქტსში, სადაც საკანონმდებლო აქტები ძირითად ლიტერატურაში დაკონკრეტებული არ არის და მითითებულია ზოგადად გამოსაყენებელი რესურსი. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.
მე-5 რეკომენდაციის თანახმად, შესაბამისი პუბლიკაციებისა თუ პრაქტიკული გამოცდილების მქონე აკადემიურ/მოწვეული პერსონალი უნდა შერჩეულიყო სასწავლო კურსების „საკონსტიტუციო მართლმსაჯულების პრაქტიკუმი“ და „ადამიანის უფლებათა სამართალი“ მიმართ. წარმოდგენილი ანგარიშისა და პერსონალის CV-ის ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა, რომ ჩამოთვლილი სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალი შერჩეულია მათი აკადემიური ხარისხის, პუბლიკაციებისა თუ პრაქტიკული გამოცდილების შესაბამისად. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.

ექსპერტთ აჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული შესასრულებელი რეკომენდაციები:
1. რეკომენდირებულია, დაზუსტდეს საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები, მათი გაზომვადობის გამარტივების მიზნით, იმგვარად რომ იგი ჩამოყალიბებული იყოს არა დარგობრივი მახასიათებლის იდენტურად არამედ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე;

2. რეკომენდირებულია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და სწავლის შედეგების შეფასების გეგმა გადაიხედოს სწავლის შედეგების გაზომვადობის გამარტივებასთან ერთად;
3. რეკომენდირებულია, სამომავლოდ შრომის ბაზრის კვლევა ჩატარდეს რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების იმ კომბინაციით, რომელიც უზრუნველყოფს მიღებული შედეგების უფრო მაღალ ვალიდურობას;
4. რეკომენდირებულია, გადაიხედოს სილაბუსებში მითითებულ საკანონმდებლო ბაზა, რათა მათში არ იყოს ძალადაკარგული კანონები (მაგ. საკონსტიტუციო მართლმსაჯულება);
5. რეკომენდირებულია გადაიხედოს აკადემიური/მოწვეული პერსონალის შესაბამისობა კონკრეტულ სასწავლო კურსებთან მიმარებით და შერჩეული იქნეს კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაბამისი აკადემიურო ხარისხის, პუბლიკაციების ან/და მრავალწლიანი, მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოცდილების მქონე პერსონალი (მაგ. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების პრაქტიკუმი, ადამიანის უფლებათა სამართალი).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესაბამისად, სამართლის საბაკალავრო პროგრამის განმახორციელმა ჯგუფმა სწავლის შედეგები განაახლა და მათი გაზომვადობის გამარტივების მიზნით, ჩამოაყალიბა ისინი მეტად კუმულირებული სახით. სწავლის შედეგე ბზე მუშაობისას გათვალისწინებულ იქნა სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნები და მასთან სრულ ი შესაბამისობით ჩამოყალიბდა სწავლის გამსხვილებული შედეგები. პროგრამის სწავლის შედეგებზე მუშაობისას გათვალისწინებულ იქნა კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ პროგრამის (USAID/PROLoG) ფარგლებში მომზადებული კვლევა ,,სამართლის ახალი დარგობრივი მახასიათებლის დანერგვა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში“, რომლის ფარგლებში გაანალიზებულია 28 საგანმანათლებლო პროგრამა და აკრედიტაციის შედეგები. სამართლის საბაკალავრო პროგრამის შედეგების გადახედვასთან ერთად, დაკორექტირდა სამიზნე ნიშნულებზე დამყარებული სამართლის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და გეგმა.
ამასთან, სამართლის სკოლა აგრძელებს შრომის ბაზრის კვ ლევას და მისი შედეგების გამოყენებას სამართლის საბაკალავრო პროგრამის განვითარების მიზნით. შრომის ბაზრის კვლევის ფარგლებში სამართლი ს სკოლამ გაანალიზა ,,სამართლებრივი ბაზრის კვლევა საქართველოში“ კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ პროგრამის (USAID/PROLoG) ფარგლებში ჩატარებული კვლევა, სადაც სიღრმისეულად არის შესწავლილი შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნები.
მნიშვნელოვანია, რომ სამართლის სკოლა ყოველ სემესტრულად აძლევს შესაძლებლობას პროგრამაში ჩართულ პერსონალს განაახლოს სილაბუსები სემესტრის დაწყებამდე ორი კვირით ადრე, მათ შორის იმისთვის, რომ მოხდეს სასწავლო კურსებში ახალი ლიტერატურისა და საკანონმდებლო ბაზის დამატება. ამ მიზნით კურსში “საკონსტიტუციო მართლმსაჯულება” განხორციელდა ცვლილება - განახლდა გამოყენებული საკანონმდებლო ბაზა, რაც აისახა კურსის ფარგლებში გამოყენებული ლიტერატურის და რესურსების ნაწილში.
გარდა აღნიშნულისა, რეკომენდაციის შესაბამისად, . გ პროგრამაში ჩართული პერსონალიდან ადამიანის უფლებებისა და საკონსტიტუციო მართლმსაჯულების პრაქტიკუმის მიმართულებით ჩაერთნენ საკონსტიტუციო სასამართლოს და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები, ადამიანის უფლებების სფეროში მომუშავე საუკეთესო გამოცდილების მქონე სპეციალისტები.

სხდომაზეგამოცხადდასათათბიროშესვენება
დაწყებისდრო: 16:00

დასრულებისდრო: 16:07

საბჭომ გაიზიარა ექსპერტის შეფასებები რეკომებდაციების შესრულებასთან დაკავშირებით

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 21^1 პუნქტის საფუძველზე, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

3. მესამესაკითხი : სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამას საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს MES (30.01.2021) გადაწყვეტილების საფუძველზე მიენიჭა 7-წლიანი აკრედიტაცია 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით. 10 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ასახული არის გადაწყვეტილებაში, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გაირკვა, რომ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რათა უზრუნველეყო ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინების საფუძველზე თვითშეფასების ანგარიშის მოსამზადებელი სამუშაობის განხორციელება. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და შეფასების ჯგუფმა პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან ურთიერთანამშრომლობით დაამუშავა და გაითვალისწინა ექსპერტთა დასკვნის შედეგები და მიიღო შესაბამისი ზომები რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და შეფასების ჯგუფმა პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან ურთიერთანამშრომლობით დაამუშავა და გაითვალისწინა ექსპერტთა დასკვნის შედეგები და მიიღო შესაბამისი ზომები რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინების მიზნით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:24
დასრულების დრო: 16:29

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

16:30 - საბჭოს სხდომა დატოვა გოდერძი ბუჩაშვილმა
აკრედიტაციის დებულების 27^{2}-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნათიაზედგინიძე-ჯიშკარიანი.

4. მეოთხე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√კი
თვითაცილება საბჭოს სხდომის დატოვებამდე განაცხადა გოდერძი ბუჩაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამას ,,კომპიუტერული მეცნიერება“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 19 მარტი გადაწყვეტილებით (MES 8 21 0000318909) მიენიჭა 7 წლიანი აკრედიტაცია და დაევალა ანგარიშის წარმოდგენა 2022 წლის 21 მარტამდე. აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით პროგრამას განესაზღვრა 8 რეკომენდაცია. წარმოდგენილი მასალის თანახმად შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიზნით შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები. რეკომენდაციების შესრულების შემდეგად საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ „კომპიუტერული მეცნიერება“, პროგრესი განიცადა შემდეგი ცვლილებები: შეიცვალა სწავლის შედეგების აღწერა - „ცოდნა გაცნობიერება“ და „უნარები“ დაიხვეწა და ჩამოყალიბდა საგნების სწავლის შედეგების განზოგადების სახითა და ცოდნის არეებზე ზედმეტი კონცენტრაციის გარეშე. ხოლო „ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა“-ს დაემატა აკადემიური და პროფესიული პასუხისმგებლობის აღმწერი. • განახლდა ყველა სასწავლო კურსის სილაბუსი, რომელზეც იყო გაცემული რეკომენდაცია • განახლდა სასწავლო ლიტერატურა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ დიდი სამუშაო გასცია რეკომენდაციების შესასრულებლად და შესაბამისად, განახორციელა აუცილებელი ცვლილებები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:45
დასრულების დრო: 16:50

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 276 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 211 პუნქტის საფუძველზე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

5. მეხუთე საკითხი : შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ,,კლინიკური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ კი
თვითაცილება საბჭოს სხდომის დატოვებამდე განაცხადა გოდერძი ბუჩაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 22 მარტის გადაწყვეტილების შესაბამისად, ანგარიშის წარმოდგენის ვადად განსაზღვრული იყო 2022 წლის 5 მარტი. მიმდინარე წლის 11 თებერვალს დაწესებულებამ წარმოადგინა ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ, რომელიც, დოკუმენტების მიხედვით, წარმოდგენილია საბჭოს გადაწყვეტილებით დადგენილ ვადაში. დაწესებულების მიერ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციებისა და რჩევის შესასრულებლად, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშში მითითებულია, რომ უსდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კოგნიტურ-ბიჰევიორალურ თერაპიას, თუმცა წარმოდგენილი პროგრამა ეკლექტურ ხასიათს ატარებს. პროგრამაში წარმოდგენილი კურსების შინაარსის შესწავლა აჩვენებს, რომ, ფაქტობრივად, სტუდენტებს შეეთავაზებათ კოგნიტურ-ბიჰევიორალური და ფსიქოანალიტური თერაპიის სავალებულო კურსები (და გეშტალტთერაპიისა და პოზიტიური კონსულტირების არჩევითი კურსები), რაც ნამდვილად ვერ შექმნის ეკლექტური მიდგომის ცოდნისთვის საკმარის ბაზას. აქედან გამომდინარე, რეკომენდაცია ძალაში.
რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, რეკომენდაციები არ არის გათვალისწინებული დაწესებულების მიერ. წარმოდგენილ პროგრამაში, ფაქტობრივად, არ არის შეტანილი არსებითი ცვლილებები, გარდა იმისა, რომ ორი არჩევითი კურსის მოცულობა გაიზარდა, ხოლო სავალდებულო კურსი „მულტიდისციპლინური ზრუნვა, შემთხვევის მართვა და კრიზისული ინტერვენცია“ საერთოდ ამოღებულია პროგრამიდან (ნაცვლად იმისა, რომ არჩევითი საგნების ჩამონათვალში ყოფილიყო გადატანილი). დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განახლებული პროგრამის სტრუქტურა, ფაქტობრივად, არ განსხვავდება პროგრამის პირველი ვერსიისგან გარდა წინა აბზაცში აღნიშნული ცვლილებებისა.
მე-6 რეკომენდაცია დაწესებულების მიერ ნაწილობრივ იქნა გათვალისწინებული, კერძოდ დაწესებულების მიერ წარმოდგენილია განახლებული სილაბუსი, რომელშიც მიმოხილული სტატისტიკური ანალიზის მეთოდები ნამდვილად შეესაბამება სწავლების სამაგისტრო დონეს. შესაბამისად, რეკომენდაციის მეორე ნაწილი შესრულებულია. რაც შეეხება შინაარსისა და

სახელწოდების ურთიერთშესაბამისობაში მოყვანას, სილაბუსში განხილულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა კვლევის დიზაინი და სრული წრე, შერჩევა, ინსტრუმენტების ვალიდობისა და კვლევის ეთიკის საკითხები, რომელთა ცოდნაც უაღრესად მნიშვნელოვანია სტუდენტისთვის, თუმცა კურსის ამ ნაწილში არ არის საუბარი კვლევის ცალკეულ მეთოდებზე. ამიტომ კურსის დასახელებაში „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“ არ ასახავს მის შინაარსს და, შესაბამისად, რეკომენდაციის პირველი ნაწილი არ არის შესრულებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელწოდებისა და შინაარსის შესაბამისობაში მოყვანა აუცილებლობით არ გულისხმობს შინაარსის შეცვლას, შესაძლებელია სახელწოდების მოდიფიცირებაც.

ასევე ნაწილობრივ არის გათვალისწინებული მე-7 რეკომენდაცია, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სილაბუსით „თვისებრივი კვლევის მეთოდები“, ფაქტობრივად, დასტურდება რეკომენდაციის მეორე ნაწილის შესრულება, ვინაიდან მასში ნამდვილად არის ჩამოთვლილი/განხილული თვისებრივი კვლევის ზოგიერთი მეთოდი, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციით (სილაბუსი და კურსის წამკითხველი პერსონალის პირადი საქმე) არ დასტურდება, რომ მას გააჩნია შესაბამისი ცოდნა, გამოცდილება და კომპეტენცია თვისებრივი კვლევის მიმართულებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არ შეცვლილა აღნიშნული კურსის წამკითხველი რეკომენდაციის მიღების შემდეგ. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშში ამ რეკომენდაციის შესრულების მტკიცებულებების ჩამონათვალში, პირად საქმესთან ერთად, მითითებულია სილაბუსი კურსისა „სტატისტიკური კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში“, რაც სრულიად არარელევანტურია აქ განხილული საკითხისა.

რაც შეეხება მე-9 რეკომენდაციას, რეკომენდაცია არ არის გათვალისწინებული დაწესებულების მიერ. დაწესებულება რეკომენდაციების შესრულების შესახებ თვითშეფასების ანგარიშში ასაბუთებს, რომ სტუდენტებს არ სჭირდებათ ამგვარი კურსების შეთავაზება, ვინაიდან ექვსკრედიტიანი სავალდებულო კურსი „პიროვნების კლინიკური შესწავლის მეთოდები“, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია ოცამდე სხვადასხვა ინსტრუმენტის შესახებ (მათ შორის, უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციების, ემოციების, ინტელექტის, პიროვნული ნიშნების საკვლევი თვითადმინისტრირებადი და პროექციული მეთოდიკები) სრულად ფარავს ყველა იმ სწავლის შედეგს, რომელიც პროგრამაშია გაწერილი და, ამასთან, სტუდენტს აძლევს ამ ინსტრუმენტების პრაქტიკაში გამოყენების კომპეტენციას.

მე-12 რეკომენდაცია ნაწილობრივ გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ. დაწესებულებამ წარმოადგინა იმ კურსების სილაბუსები, რომლებსაც ეხებოდა აღნიშნული რეკომენდაცია. კურსების დასახელებები შესაბამისობაშია მოყვანილი მათ შინაარსთან. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის განახლებულ ვარიანტში შეტანილია კიდევ ერთი ცვლილება: მასში წარმოდგენილია ორნაწილიანი (სულ 12 კრედიტი) კურსი სახელწოდებით „ფსიქიკური ჯანმრთელობა, საერთაშორისო კლასიფიკატორები“, რომელიც პროგრამის პირვანდელ ვერსიაში ამავე სახელწოდებით წარმოდგენილი კურსის სრულიად ახალი ვარიანტია (შინაარსობრივი თვალსაზრისით). კურსის შინაარსი მოცულობითია, თუმცა, (ა) არ შეესაბამება სახელწოდებას და (ბ) ფაქტობრივად, ბაკალავრიატის საფეხურის შესაბამისი პათოფსიქოლოგიის კურსის გამეორებას წარმოადგენს. ამის თქმის საფუძველს კურსის ფარგლებში გამოყენებული საკითხავი მასალა იძლევა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირვე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კოგნიტური ფსიქოლოგიის თერაპიას, როგორც მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ერთ-ერთ წამყვან მიმართულებას, თუმცა აღნიშნული ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ზოგადად ატარებს ეკლექტიკურ ხასიათს. ამასთან, მნიშვნელოვანია მე-4 რეკომენდაციაზე დაწესებულების პასუხი, კერძოდ კლინიკური

ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები და მიზნები არის ნათლად ჩამოყალიბებული და ატარებს ზოგად ხასიათს, რაც საშუალებას იძლევა პროგრამა განხორციელდებს ეკლექტური მიდგომით. გამომდინარე იქიდან, რომ მე-4 რეკომენდაცია პირველს გამორიცხავს, აღნიშნული რეკომენდაციები შეიძლება ჩაითვალოს სრულიად შესრულებულად.
ასევეა მე-6 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელზეც ექსპერტი მიუთითებს, რომ ნაწილობრივ იქნა შესრულებული, თუმცა იქვე მე-10 რეკომენდაცია ცხადყობს, რომ როგორც მე-6 ასევე მე-10 რეკომენდაცია სრულად იქნა გათვალისწინებული.
რაც შეეხება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების განაწილების ლოგიკას, სავალდებულო და არჩევითი საგნები ერთობლივად ემსახურება პროგრამის მიზნებისა და შედეგების მიღწევას, რაც ასევე აღნიშNულია კარედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, კერძოდ პროგრამის ფარგლებში სავალდებულო სასწავლო კურსებთან ერთად შეთავაზებულია არჩევითი კურსები, რომლებიც სტუდენტს საშუალებას აძლევს საკუთარი ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად, გაიღრმავოს პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრული კომპეტენცია. მაგალითად, პროგრამის მე-2 მიზანი მოიცავს შემდეგს-,,ღრმად და სისტემურად გაახნოს კლინიკური ფსიქოლოგიის და ფსიქოკონსულტაციის სფეროში არსებული თანამედროვე თეორიული და პრაქტიკული მიდგომები“, აქედან გამომდინარე, სავალდებულო სასწავლო კურსებია: ,,თეორია, პრაქტიკა და სუპერვიზია ფსიქოლოგიურ კონსულტირებაში“, ,,თეორია და პრაქტიკა კოგნიტურ-ბიგეივიორულ თერაპიაში“, ,,ფსიქოდინამიური ფსიქოთერაპია“, ,,თეორია და პრაქტიკა ჯგუფურ ფსიქოთერაპიაში“, ხოლო არჩევით საგნებად გათვალისწინებულია ,,თეორია და პრაქტიკა გეშტალტთერაპიაში“ და ,,პოზიტიური მიმართულების ფსიქოკონსულტირება“. აქედან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შესაბამისობაშია დარგის მოთხოვნებთან, რაც უზრუნველყობს სწავლის შედეგებზე გასვლას.
მნიშვნელოვანია ასევე პროგრამის ხელმძღვანელობის საკითხი, კერძოდ რეკომენდაცია გათვალისწინებულია და ცვლილება შევიდა უნივერსიტეტის დებულებაში, სადაც დაზუსტთა პროგრამის ხელმძღვანელის საკითხი, კერძოს სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამას შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელი ან თანახელმძღვანელი. ამ ეტაპზე, კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამას ჰყავს ორი ხელმძღვანელი, რომელიც არისნ უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალი და აქვთ შესაბამისი მიმართულებით აკადემიური, კვლევითი და პრაქტიკული გამოცდილება.
მე-6 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რეკომენდაციის საფუძველზე უნივერსიტეტმა მოახდინა სილაბუსის მოდიფიცირება, კერძოდ სალექციო კვირები დაიტვირთა რაოდენობრივი კვლევის მეთოდებით, რის შედეგადაც უფრო მეტად მოვიდა შესაბამისობაში ერთმანეთთან კურსის დასახელება და შინაარსი. აღწერითი სტატისტიკის ელემენტები მთლიანად ამოღებულია სილაბუსიდან.
რაც შეეხება მე-7 რეკომენდაციას, დაწესებულებამ მოახდინა თვისებრივი კვლევის სილაბუსის მოდიფიცირება, კერძოდო მოხდა გამრავალფეროვნება სხვადასხვა მეთოდებით, მაგალითად, ვიზუალური ანალიზი, თვისებრივი კონტენტანალიზი, ნარატიული ტექსტური მასალის ანალიზი. აგრეთვე მოდიფიცირება მოხდა პირველი სალექციო საკითხის, რომელიც ჩამოყალიბდა შემდეგნაირად, თვისებრივი კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში და თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები.
კვლევასთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ კვლევის მეთოდების სილაბუსში ჩამოთვლილ სხავადსხვა მეთოდებს სტუდნეტები ბაკალავრის საფეხურზე სწავლობენ. თვისებრივი კვლევა არ არის მარტო ფოკუს ჯგუფი და ბევრად მეტია ვიდრე სოციალური კვლევა. ამასთა დასახვეწია სავალდებულო ლიტერატურაც. შესაბამისად, ეს საგანი უნდა ასწავლოს იმ ადამინმა, ვისა ფსიქოლოგიაშიც აქვს გამოცდილება და კვლევაშიც, ვინაიდნა ის კომპეტენცია რაც სტუდენტს მოეთხოვება სამაგისტრო ნაშრომის დასაწერად არ მოიცავს სოციალურ კვლევას.

დაწესებულების წარმომადგენელმა მე-10 რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ იმ კურსების განახლებული სილაბუსები, რომელთა ფარგლებშიც სტუდენტებს საშუალება მიეცემათ, მონაცემთა სტატისტიკური და თვისებრივი დამუშავების მიმართულებით გაიღრმავონ ცოდნა, იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ რეკომენდაცია შესრულებულია. აქედან გამომდინარე, ვერ ჩაითვლება ის, რომ კვლევის მეთოდები ისწავლება საბაკალავრო დონის შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ პირველი და მეოთხე რეკომენდაცია ურთიერთგამომრიცხავია, კერძოდ პირველ რეკომენდაციაში მოცემულია, რომ მნიშვნელოვანია სწავლის შედეგების უფრო გამოკვეთა. ხოლო მე-4 რეკომენდაციასთან მიმართებით ექსპერტი ეთანხმება დ აიზიარებს უნივერსიტეტის ეკლექტიკურ მიდგომას. მსგავსი მდომარეობაა მე-9 და მე-10 რეკომენდაციებთან მიმართებით, მაგალითად მე-9 რეკომენდაციაში მოცემულია, რომ სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისთვის კარგი იქნებოდა გარკეული არჩევითი სასწავლო კურსების დამატება, რაც დაწესებულების მიერ გათვალისწინებული არ არის, ხოლო მე-10 რეკომენდაციის შესრულებას ექსპერტი იზიარებს და ადასტურებს.შესაბამისა, საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტს საკითხის განმარტებისკენ.
საბჭოს წევრმა, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა აღნიშნა 2.3 კომპონენტში არსებული რეკომენდაცია, რომელიც ორი პუნქტისგან შედგება, კერძოდ მოიცას რაოდენობირვ კვლევასა და მონაცემთა დამუშავებას, ხოლო მეორე პუნქტიი გულისხმობს კურსის შესაბამისობას სამაგისტრო სწავლების დონესთან. შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტს საკითხის განმარტებისკენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტმა განმარტა, რომ რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულად არის მიჩნეული, ვინაიდან რეალურად სახეზეა კომბინირებული კურსი, რომლის იდეაც საკმაოდ კარგია, ვინაიდან სტუდენტები საქმეშივე სწავლობენ მონაცემთა დამუშავებას. მნიშვნელოვანია, რომ კურსის შინაარსი ზუსტად ისეთია როგორიც უნდა იყოს, თუმცა საჭიოებს სათაურის მორგებას.
გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ფარგლებში ორი კვლევის მეთოდის კურსია წარმოდგენილი. ერთი მოიცავს რაოდენობრივ კვლევას, რომელიც ინტეგრირებულია spss-სთან, ხოლო მეორე გულისხმობს თვისობრივი კვლევის მეთოდებს. ამ სასწავლო კურსებიდან თითოეული მათგანი არის სავალდებულო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შინაარსთან ხარვეზი არ არსებობს, აუცილებელია სათაურის მოდიფიცირება, რათა იგი სრულად ასახავდეს სასწავლო კურსის შინაარსს. რაც შეეხება თვისობრივი კვლევის მეთოდებს, სასწავლო კურსის სახელმძღვანელოების შინაარსის მიხედვით ძირითადად მოცემულია სოციოლოგიის საკითხები.
რაც შეეხება მე-9 და მე-10 რეკომენდაციებს, ისინი არ არის ურთიერთგამომრიცხავი, რადგან კვლევის მეთოდების სილაბუსები რეალურად გადის სწავლის შედეგებზე, ხოლო რეკომენდაცია გულისხმობდა არჩევითი სასწავლო კურსების დამატებას, რაც კონკრეტულ მიმართულებებს მოიცავდა.
მნიშვნელოვანია ასევე პირველი და მეოთხე რეკომენდაციები. პირველი რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულად შეფასდა, რადგან კონკრეტულად რომელ მიმართულებებზე გადის სტუდენტი არ არის მოცემული. მთავარ საკითხს წარმოადგენს რეფორმულირება, თავად შინაარსთან ხარვეზები არ არის.

სხდომაზე ეგამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:41
დასრულების დრო: 17:55

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ,,კლინიკური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

პროგრამის განვითარების მიზნით საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რჩევები:

- სწავლის შედეგებში უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს, რა ეცოდინებათ/შეეძლებათ სტუდენტებს კონკრეტული მიდგომის (კოგნიტურ-ბიჰევიორალური თერაპიის) მიმართულებით. მართალია, შედეგებში აღწერილია კონკრეტული კომპეტენციები, თუმცა არსად არის მითითებული, რომელი მიმართულების ფარგლებში შეძლებენ აღნიშნულის განხორციელებას.
- პროგრამაში ჩართული სავალდებულო/არჩევითი კურსების ისეთი კომბინაციის შეთავაზება, რომ ზუსტად იმ სწავლის შედეგებზე გავიდეს სტუდენტი, რომელსაც პროგრამა უსახავს.
- გადაიხედოს სასწავლო კურსი „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, მონაცემთა დამუშავება SPSS-ის გამოყენებით.“ შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან კურსის დასახელება და შინაარსი; კურსის შინაარსი მოდიფიცირდეს იმგვარად, რომ შეესაბამებოდეს სამაგისტრო საწავლების დონე
- თვისებრივი კვლევის კურსს(1) უძღვებოდეს ის აკადემიური/მოწვეული პერსონალი, რომელსაც გააჩნია თვისებრივი კვლევის კომპეტენცია კლინიკური ფსიქოლოგიის მიმართულებით, კურსის შინაარსი შეესაბამებოდეს დასახელებას, მოიცავდეს თვისებრივ კვლევაში გამოსადეგ მეთოდებს და არ მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა, მაგალითად „სტატისტიკური კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში“ (კვირაI).
- სასურველია, სასწავლო კურსის „ფსიქიკური ჯანმრთელობა, საერთაშორისო კლასიფიკატორები“ სახელწოდება შესაბამისოაბში მოვიდეს მის შინაარსთან.
- კვლევის კომპონენტის გაძლიერება დარგობრივი კვლევის მეთოდების საკითხებით გამრავალფეროვნება.

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ,,კლინიკური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად. დაწესებულებას განესაზღვრა რჩევებში, რომლის გათვალისწინებაც მიზანშეწონილია შემდეგი შეფასებისას.

მეექვსე საკითხი: „შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 27 აპრილის №416095 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;

საბჭოსწევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების

აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 27 აპრილის №416095 გადაწყვეტილებაში იყო ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ სამაგისტრო პროგრამის გადაწყვეტილებაში, დამატებით გაწერილი იყო „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გადაწყვეტილების რეკომენდაციები, რომელთა რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა მოხდა 2022 წლის 08 აპრილის საბჭოს სხდომაზე.
აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 27 აპრილის №416095 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გამოსწორების შემდგომ, გადაწყვეტილების მეოთხე ნაწილი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
4. საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და განსაზღვრა შემდეგი რჩევები და რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:
4.1 მიზანშეწონილია, უნივერსიტეტსა და დაწესებულება/ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმების ნაწილში დაზუსტდეს სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობა, ვინაიდან კონკრეტულ ორგანიზაციაში პრაქტიკის გამვლელი სტუდენტების სავარაუდო რაოდენობის წინასწარ განსაზღვრა მნიშვნელოვანია პრაქტიკის სათანადოდ დაგეგმვის, მიზნობრივად სტუდენტების გადანაწილებისა და პრაქტიკული კომპონენტის სწორი მენეჯმენტისთვის;
4.2 სამაგისტრო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, რაც ითვალისწინებს, ღრმა და სისტემური ცოდნის გადაცემას კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში არჩეული კონცენტრაციის ფარგლებში, აუცილებელია გაიზარდოს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესორების რაოდენობა, და წარმოდგენილი იყოს არამხოლოდ სისხლის, არამედ კერძო და საჯარო სამართლის მიმართულებითაც;
4.3 აკადემიური პერსონალის რანგირების წესით გათვალისწინებული აკადემიური პერსონალის ვალდებულებები და წახალისების მექანიზმები გავრცელდეს როგორც ამ წესის ძალაში შესვლამდე, ასევე ძალაში შესვლის შემდეგ დასაქმებულ პერსონალზე;
4.4 გაიზარდოს პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, განსაკუთრებით ქვეყნის გარეთ საერთაშორისო ღონისძიებებში პერსონალის მონაწილეობის კუთხით.

რჩევები:
4.5 სასურველია, პრაქტიკული კომპონენტის შემადგენელი 15 კრედიტის სტუდენტის მიერ ათვისების კრიტერიუმები და პირობები უფრო კონკრეტულად იქნას გაწერილი პროგრამით ნებისმიერი ბუნდოვანების თავიდან აცილების მიზნით;
4.6 სასურველია, უნივერსიტეტმა გააფართოვოს სხვადასხვა გაცვლით პროგრამაში სტუდენტების მეტი ჩართულობის მექანიზმები და შესაძლებლობები სტუდენტებისათვის მეტ საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღების შეთავაზებითა და ამ პროგრამების სტუდენტების მიერ გავლის შესაძლებლობის უზრუნველყოფით;
4.7 სტუდენტებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით, კარგი იქნება, უნივერსიტეტი ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით აქტიურად თუ იმუშავებს, სტუდენტებს უფრო მეტ გაცვლით პროგრამას შესთავაზებს და შეუქმნის პირობებს მათში მონაწილეობის მისაღებად;
4.8 გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამომდინარე, კარგი იქნება უსდ-ს მიერ გაიზარდოს სამართლის სამაგისტრო პროგრამისათვის რელევანტური და აქტუალური ღონისძიებების ორგანიზება, ანდა სტუდენტების მონაწილეობის უზრუნველყოფა. განსაკუთრებით კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში, როდესაც არაერთი პლატფორმა შესაძლებელს ხდის მსგავსი აქტივობის გამართვას.
4.9 კურსდამთვრებულებთან საუბრისას და სამაგისტრო ნაშრომების განხილვისას გაირკვა, რომ ნაშრომის შესრულებისას, ფაქტობრივად, არ ან მცირე ოდენობით გამოიყენეს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზები, უცხოური ლიტერატურა, თუმცა სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას

მნიშვნელოვანია როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირება. ამიტომ, კარგი იქნება, უსდ თუ ჩაატარებს დამატებით აქტივობებს, აქტიურად გააცნობს სტუდენტებს სამეცნიერო ბაზების მოხმარების წესსა და საჭიროებას, რათა მაგისტრანტებს ხელი შეუწყოს უცხოური სამეცნიერო ბაზების გამოყენების პროცესში;
4.10 კარგი იქნება, რომ უსდ-მ „ბიბლიოთეკის დებულების“ 3.1 პუნქტის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც, „ბიბლიოთეკაში დაცული უნდა იყოს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებით განსაზღრული ყველა ლიტერატურა წიგნადი თუ ელექტრონული ფორმით და დამხმარე მასალები“, უსდ/ბიბლიოთეკამ უზრუნველყოს სილაბუსებით გათვალისწინებული ყველა დამხმარე ლიტერატურის ერთი ეგზემპლარი მაინც;
4.11 პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით უსდ-ს გააჩნდეს აკადემიური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების სამოქმედო გეგმა, რომელიც ასახავს სამოქმედო გეგმის ყოველწლიური შესრულების კონკრეტულ და რეალისტურ ინდიკატორებს. ამასთან შეიქმნას ინდიკატორების შესრულების კონტროლის მექანიზმები;
4.12 საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საქმიანობის ინსტრუქციაში გაიწეროს პროგრამის ხელმძღვანელის ვალდებულება, შეისწავლოს შემოწმების შედეგად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ აღმოჩენილი დარღვევებისა და შეუსაბამობების სავარაუდო მიზეზები და შექმნას მექანიზმები მათი დროულად აღმოფხვრის მიზნით.“

შესაბამისად მიზანშეწონილი იქნება 2021 წლის 27 აპრილის №416095 გადაწყვეტილებაში შევიდეს შესაბამისი ცვლილება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 18:55
დასრულების დრო: 19:02

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: „შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 27 აპრილის №416095 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხი;

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 27 აპრილის №416095 გადაწყვეტილებაში შევიდეს შემდეგი ხასიათის ცვლილება:

1. გადაწყვეტილების მეოთხე პუნქტი, რეკომენდაციების ნაწილში ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„4. საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და განსაზღვრა შემდეგი რჩევები და რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:
4.1 მიზანშეწონილია, უნივერსიტეტსა და დაწესებულება/ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმების ნაწილში დაზუსტდეს სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობა, ვინაიდან კონკრეტულ ორგანიზაციაში პრაქტიკის გამვლელი სტუდენტების სავარაუდო რაოდენობის

წინასწარ განსაზღვრა მნიშვნელოვანია პრაქტიკის სათანადოდ დაგეგმვის, მიზნობრივად სტუდენტების გადანაწილებისა და პრაქტიკული კომპონენტის სწორი მენეჯმენტისთვის;
4.2 სამაგისტრო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, რაც ითვალისწინებს, ღრმა და სისტემური ცოდნის გადაცემას კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში არჩეული კონცენტრაციის ფარგლებში, აუცილებელია გაიზარდოს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესორების რაოდენობა, და წარმოდგენილი იყოს არამხოლოდ სისხლის, არამედ კერძო და საჯარო სამართლის მიმართულებითაც;
4.3 აკადემიური პერსონალის რანგირების წესით გათვალისწინებული აკადემიური პერსონალის ვალდებულებები და წახალისების მექანიზმები გავრცელდეს როგორც ამ წესის ძალაში შესვლამდე, ასევე ძალაში შესვლის შემდეგ დასაქმებულ პერსონალზე;
4.4 გაიზარდოს პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, განსაკუთრებით ქვეყნის გარეთ საერთაშორისო ღონისძიებებში პერსონალის მონაწილეობის კუთხით.

რჩევები:
4.5 სასურველია, პრაქტიკული კომპონენტის შემადგენელი 15 კრედიტის სტუდენტის მიერ ათვისების კრიტერიუმები და პირობები უფრო კონკრეტულად იქნას გაწერილი პროგრამით ნებისმიერი ბუნდოვანების თავიდან აცილების მიზნით;
4.6 სასურველია, უნივერსიტეტმა გააფართოვოს სხვადასხვა გაცვლით პროგრამაში სტუდენტების მეტი ჩართულობის მექანიზმები და შესაძლებლობები სტუდენტებისათვის მეტ საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღების შეთავაზებითა და ამ პროგრამების სტუდენტების მიერ გავლის შესაძლებლობის უზრუნველყოფით;
4.7 სტუდენტებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით, კარგი იქნება, უნივერსიტეტი ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით აქტიურად თუ იმუშავებს, სტუდენტებს უფრო მეტ გაცვლით პროგრამას შესთავაზებს და შეუქმნის პირობებს მათში მონაწილეობის მისაღებად;
4.8 გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამომდინარე, კარგი იქნება უსდ-ს მიერ გაიზარდოს სამართლის სამაგისტრო პროგრამისათვის რელევანტური და აქტუალური ღონისძიებების ორგანიზება, ანდა სტუდენტების მონაწილეობის უზრუნველყოფა. განსაკუთრებით კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში, როდესაც არაერთი პლატფორმა შესაძლებელს ხდის მსგავსი აქტივობის გამართვას.
4.9 კურსდამთვრებულებთან საუბრისას და სამაგისტრო ნაშრომების განხილვისას გაირკვა, რომ ნაშრომის შესრულებისას, ფაქტობრივად, არ ან მცირე ოდენობით გამოიყენეს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზები, უცხოური ლიტერატურა, თუმცა სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას მნიშვნელოვანია როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირება. ამიტომ, კარგი იქნება, უსდ თუ ჩაატარებს დამატებით აქტივობებს, აქტიურად გააცნობს სტუდენტებს სამეცნიერო ბაზების მოხმარების წესსა და საჭიროებას, რათა მაგისტრანტებს ხელი შეუწყოს უცხოური სამეცნიერო ბაზების გამოყენების პროცესში;
4.10 კარგი იქნება, რომ უსდ-მ „ბიბლიოთეკის დებულების“ 3.1 პუნქტის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც, „ბიბლიოთეკაში დაცული უნდა იყოს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებით განსაზღრული ყველა ლიტერატურა წიგნადი თუ ელექტრონული ფორმით და დამხმარე მასალები“, უსდ/ბიბლიოთეკამ უზრუნველყოს სილაბუსებით გათვალისწინებული ყველა დამხმარე ლიტერატურის ერთი ეგზემპლარი მაინც;
4.11 პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით უსდ-ს გააჩნდეს აკადემიური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების სამოქმედო გეგმა, რომელიც ასახავს სამოქმედო გეგმის ყოველწლიური შესრულების კონკრეტულ და რეალისტურ ინდიკატორებს. ამასთან შეიქმნას ინდიკატორების შესრულების კონტროლის მექანიზმები;
4.12 საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საქმიანობის ინსტრუქციაში გაიწეროს პროგრამის ხელმძღვანელის ვალდებულება, შეისწავლოს შემოწმების შედეგად ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურის მიერ აღმოჩენილი დარღვევებისა და შეუსაბამობების სავარაუდო მიზეზები და შექმნას მექანიზმები მათი დროულად აღმოფხვრის მიზნით.“

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 19:10 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით